ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 61

"29" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 თებერვლის № 19.178.221 განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონების, იმავე დანართში მითითებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2018 წლის 31 მარტამდე მოქმედი ხელშეკრულებების შედეგად დადგენილი სარგებლობის წლიური საფასურის უცვლელი ოდენობით, გადაცემის შესახებ საკითხზე.

2. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით სარგებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 31 ივლისამდე.

3. მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს, ქონების ფაქტობრივი ფლობის პერიოდში - 2018 წლის 31 მარტიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემის მდგომარეობით არსებული, 2018 წლის 31 მარტამდე მოქმედი საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით სარგებლობის საფასური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოცემული შესაბამისი

ბრძანებისა და თანდართული საიჯარო პირობების გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე